კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ФИНЕДУ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალი ტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მე-9 კლასის მოსწავლეები
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	არნფინ ქოლერუ “კეთილიონი”

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)	ფული; დაზოგვა; პირადი ფინანსების მართვა(საჭიროება და სურვილი,პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით); სესხება; ქველმოქმედება; ფინანსური ორგანიზაციები და პროდუქტები;მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები; ცხოვრებისული სიტუაციები. ქვეყნები და ვალუტები.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	პროექტის ფარგლებში შერჩეული ლიტერატურის განხილვისას გამოვიყენეთ სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დამოუკიდებლად მუშაობა, კითხვა-პასუხი, ასოციაციური რუკა, შემთხვევების განხილვა, დისკუსია და მსჯელობა; როლური თამაში; პრეზენტაცია; არაფორმალური სწავლება-გასვლითი გაკვეთილი საბანკო სივრცეში; სწავლა კეთებით (პოსტერების შექმნა). დამოუკიდებლად მუშაობა- ეს მიდგომა გამოვიყენე რადგან დამოუკიდებლად მუშაობა მოსწავლეს საშუალებას აძლევს განივითარონ თვითდისციპლინა და პასუხისმგებლობა. დამოუკიდებლად სწავლის დროს მოსწავლეები აანალიზებენ წამოჭრილ პრობლემებს,საკითხებსა და დამოუკიდებლად პოულობენ კრეატიულ გადაწყვეტილებებს. სწავლების ამ მეთოდით მოსწავლეები სწავლობენ გამოწვევების ამოცნობასა და მიზნების დასახვას,რითაც იუმჯობესებენ პრობლემის გადაჭრის საერთო უნარებს. დამოუკიდებლად მუშაობისას ხელი ეწყობა მოსწავლეთა თვითდაჯერებულობისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებას,შესაბამისად, მოსწავლეები უკეთესად აცნობიერებენ საკუთარ შესაძლებლობებს. დისკუსია- დისკუსიის მიდგომის გამოყენებით ხელი შევუწყე მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას,რადგან ამ დროს მოსწავლეები აანალიზებენ არგუმენტებს,აფასებენ მტკიცებულებებს. დისკუსიის დროს მოსწავლეებს აქვთ საშუალება საკუთარი შეხედულებები და აზრები მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოაყალიბონ,გააზიარონ თანატოლებთან. დისკუსიის დროს მოსწავლეები მზად არიან თანატოლთა აზრის მოსასმენად,.შედეგად სწავლობენ ერთმანეთის გამოცდილებით. ასეთი მიდგომით კლასში იქმნება თანამშრომლობითი და მეგობრული გარემო,რაც კომფორტულს ხდის სწავლა-სწავლების პროცესს. ჩვენი პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებს რამდენჯერმე მოუწიათ დისკუსიის წარმართვა და მასში მონაწილეობა. როლური თამაში- როლური თამაში სწავლების აქტიური ფორმაა,რომლის გამოყენებაც ეფუძნებოდა იმას,რომ სწავლება განსაკუთრებით საინტერესო გამეხადა მოსწავლეებისთვის. ჩვენი პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოირგეს ფრანკის დედის როლი და იმსჯელეს იმაზე,თუ როგორ განკარგავდნენ თანხას იმ შემთხვევაში თუკი ისინი აღმჩნდებოდნენ ფარნკის დედის როლში. მომდევნო

	ეტაპზე კი როლური თამაში ფარგლებში შექმნეს საინტერესო პოსტერები სახელწოდებით: “24 მილიონი ლარის მოგების შემთხვევაში რას გავაკეთებდი?!”. როლური თამაშით სწავლებისას მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად,არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან. მათ საშუალება აქვთ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები და ემოციები,რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას. როლური თამაშისას მოსწავლეები განსხვავებული კუთხით უყურებენ ერთსა და იმავე პრობლემას,საკითხსა და მოცემულობას,რაც მათ თვალსაწიერსა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას უწყობს ხელს. როლური თამაშით სწავლებისას მოსწავლეებს უყალიბდებათ ემპათიის/თანაგანცდისა და ტოლერანტობის უნარები,რადგან ასეთ მიდგომას ფსიქომოტორული მიზანიც აქვს. როლური თამაშით სწავლება გარდა ზემოთაღნიშნულისა,ხელს უწყობს მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარების,ქმედებაზე ორიენტირებული კომპეტენციებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების გამომუშავებას. პრეზენტირება- პრეზენტირება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამომუშავებას: წარმოაჩინონ საკუთარი კრეატიულობა და წარმოსახვა კონკრეტული თემის შესახებ ინფორმაციის გადმოცემისას. ამ დროს ისეთი საკომუნიკაციო უნარების განვითარებას ეწყობა ხელი,როგორიცაა: აუდიტორიის (ჩვენს შემთხვევაში კლასის) წინაშე საკუთარი აზრებისა და ცოდნის ეფექტური გადმოცემა, თვითდაჯერებულობა,კომინიკაცია და კრიტიკული აზროვნება.მიმაჩნია,რომ პრეზენტაციის გაკეთება მოსწავლის საერთო განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი მიდგომაა. ჩვენი პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა სამჯერ მოახდინეს პრეზენტაციების წარმოდგენა კლასის წინაშე. პირველი-ეხებოდა შევსებული “ჩემი სურვილების ბანკი”-ს წარდგენას და გასიტყვებას. მეორე-ეხებოდა შექმნილი თემატური პოსტერების წარდგენას. მესამე-ეხებოდა ვალუტის(კრონა) შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობას კლასის წინაშე. არაფორმალური სწავლება-გასვლითი გაკვეთილების როლი. არაფორმალური სწავლება ძალზედ მნიშვნელოვანი მიდგომაა ფორმალურ სწავლებასთან ერთად. მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ,როდესაც იმყოფებიან მათთვის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში,რადგან არაფორმალურ გარემოში ეფექტურად ხდება ინფორმაციის ათვისება,რაც ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას, რომელიც სწავლის მიზანს წარმოადგენს. არაფორმალური განათლება მოსწავლის ინდივიდუალური,ესთეტიური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენის ხელშემწყობი მიდგომაა.რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკურ/კრიტიკულ აზროვნებას,გადაწყვეტილებების მიღების,პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის,სისტემური აზროვნებისა და სივრცეში ორიენტაციის უნარებს.ამ დროს მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენს,რაც თავის მხრივ პროფორიენტაციული განვითარების ერთ-ერთი

	ხელშემწყობი პირობაა. ყოველივე აქედან გამომდინარე დაიგეგმა და წარმატებით განვახორციელეთ ვიზიტი ბანკში. სწავლა კეთებით-კეთებითი სწავლების დროს ხდება მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა და წახალისება. ასეთი მიდგომა მოსწავლეებს ეხმარება რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ კლასში მიღებული ცოდნა. კეთებითი სწავლა უზრუნველყობს უფრო მაღალ მიღწევებს და შედეგს. მოსწავლეები უფრო ხალისით ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს. ასეთი მიდგომით სტრესული ფონი მცირდება და მოსწავლეები არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ ინვითარებენ პიროვნულ უნარ-ჩვევებს. კეთებით სწავლება გარდა საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი უნარებისა,ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი რთული სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიცაა: ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა და საკუთარი თვალთახედვის არგუმენტირება; კრეატიულობა; ცოდნის ტრანსფერი-ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენება; ჩვენს შემთხვევაში მოსწავლეებმა წარმოადგინეს ძალიან საინტერესო, თემატური პოსტერები, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოიქცეოდნენ თუკი აღმოჩნდებოდნენ ნაწარმოების მთავარი გმირის-ფრანკის დედის როლში და მოიგებდნენ 24 მილიონ ლარს.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	თავდაპირველად აღნიშნულ პროექტში მონაწილეობისთვის წიგნის მაღაზიაში შევიძინე წიგნი-”კეთილიონი”. დროის მოგების მიზნით მოსწავლეებს სოციალურ ქსელში (მესენჯერი) შექმნილი ქიმიის ჯუფის დახმარებით გავუზიარე ნაწარმოების გარკვეული მონაკვეთები (1-70 გვერდი) ფოტოების სახით,რათა წაეკითხათ სახლში. სახლში დამოუკიდებლად წაკითხული ნაწარმოების ეპიზოდები მოსწავლეებმა კლასში გაასიტყვეს და გამართეს დისკუსია.დარჩენილი ნაწილი კი (110 გვერდი) წავიკითხეთ კლასში. მოსწავლეები რიგითობის და სურვილის მიხედვით კითხულობდნენ ნაწარმოებს. ნაწარმოების თითოეულ თავში ასახულ სიუჟეტებზე კლასში გავმართეთ დისკუსიები. მოსწავლეები გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს ნაწარმოების მთავარი გმირის-ფრანკის ,მისი მეგობრებისა და ფრანკის დედის ქმედებებზე. დისკუსია გაიმართა ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, ფრანკის დედის საქციელზეც, მოსწავლეებს მოეწონათ და გონივრულად მიიჩნიეს მისი ქმედება- მოგებული ფულის ბანკში შეტანა/შენახვა. მოსწავლეებმა გამოთქვეს საკუთარი ვარაუდები იმასთან დაკავშირებით თუ რა მოგებას ნახავდა ფრანკის დედა ბანკში ფულის დაბანდებით და როგორი იქნებოდა ნაწარმოების ფინალი.

	ერთ-ერთი დისკუსიის მთავარ შეკითხვას წარმოადგენდა კითხვა: რას ფიქრობდა თითოეული მოსწავლე ქველმოქმედებაზე, გაიღებდნენ თუ არა ისინი მოგებული თანხიდან 1 მილიონ კრონას ქვემოქმედებისთვის,რის საფუძველზეც დისკუსია და მსჯელობა გაიმართა სიკეთის კეთებასა და ქველმოქმედებაზე. მათთვის ძალზედ ემოციური აღმოჩნდა ფრანკის დედის გადაწყვეტილება,რომელიც ეხებოდა სიკეთის კონკურსის გამოცხადებას. მოსწავლეებმა ბევრი იმსჯელეს სიკეთის კეთების დადებით მხარეებზე, ქველმოქმედებაში გაღებულ ფინანსურ საჭიროებას და მიზნობრიობაზე. მათი აზრით, ბანკები გადამწყვეტ როლს ასრულებენ საქველმოქმედო საქმიანობების ხელშეწყობაში სხვადასხვა სერვისების შეთავაზებით,როგორიცაა მაგალითად: ბანკების დახმარება საქველმოქმედო ორგანიზაციებს და სხვა. მოსწავლეებმა ნაწარმოების განხილვისას მოირგეს ფრანკის დედის როლი;დაფიქრდნენ და გამოთქვეს საკუთარი აზრი იმასთან დაკავშირებით,თუ როგორ განკარგავდნენ თანხას იმ შემთხვევაში თუკი ისინი აღმოჩნდებოდნენ ფრანკის დედის როლში. ისაუბრეს დაზოგვაზე, საბანკო პროდუქტებზე. დისკუსია გაიმართა იმაზეც თუ რა სარგებელს მიიღებდნენ იმ შემთხვევაში თუკი ისინიც ფრანკის დედის მსგავსად ბანკში დააბანდებდნენ მოგებულ ფულს. მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა დასვა შეკითხვა თუ რა იყო ყულაბა და რა სარგებელი ექნებოდათ მათ თუკი ყულაბას გამოიყენებდენ. კლასში მოსწავლეთა ნაწილს ასევე გაუჩნდა კითხვა,როგორ ანაბარზე შეიტანდა ფრანკის დედა მოგებულ თანხას.რის საფუძველზეც განვიხილეთ საკითხი-დეპოზიტების და მისი სახეების შესახებ. დეტალურად გავარჩიეთ ვადიანი და უვადო დეპოზიტის სახეები.თითოეულის პირობები და უპირატესობები. ასევე,ვისაუბრეთ საპროცენტო სარგებელზეც. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმი დაფიქრდნენ საკუთარ იდეებსა და სურვილებზე.შემდეგ კი შეავსეს მასწავლებლის მიერ წინასწარ შექმნილი და დარიგებული ფურცლები- ე.წ. “ჩემი სურვილების ბანკი”. დააჯგუფეს სურვილები “პირადი მოხმარება” და “მოულოდნელი მოვლენები”. გააკეთეს პრეზენტაცია და განმარტეს რატომ ეჭირა თითოეულ პირად სურვილს ესა თუ ის ადგილი “სურვილების ბანკში”. იმსჯელეს იმაზე თუ რას მოიმოქმედებდნენ იმ შემთხვევაში თუკი მათ ცხოვრებაში ადგილი ექნებოდა “მოულოდნელ მოვლენებს”, როგორც ეს ნაწარმოების მთავარი გმირის -ფრანკის შემთხვევაში იყო. მოსწავლეთა პასუხებიდან გაირკვა რომ “მოულოდნელი მოვლენების” შემთხვევაში მიმართავდნენ ბანკს სესხისთვის. აღნიშნულ თემაზე საუბრისას შევეხეთ ისეთ საბანკო საკითხებს, როგორიცაა: სესხი;განვიხილეთ სესხის სახეები (სამომხმარებლო სესხი,იპოთეკური სესხი ,განვადება და სხვა).

	აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლისთვის გამოვიყენეთ სახელმძღვანელო: “ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის”-სკოლა-ბანკი. (ავტორი:საქართველოს ეროვნული ბანკი). მომდევნო ეტაპზე კლასში განვახორციელეთ როლური თამაში. მოსწავლეებმა ფრანკის დედის როლის მორგების შემდეგ, თემის- “პირადი ფინანსების მართვა” (საჭიროება და სურვილი პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით) შექმნეს თემატური პოსტერები,სახელწოდებით: “24 მილიონი ლარის მოგების შემთხვევაში რას გავაკეთებდი?”. ინდივიდუალურად მოახდინეს შექმნილი პოსტერების პრეზენტირება და წარმოადგინეს კლასის წინაშე. პრეზენტაციისას ისაუბრეს იმაზე თუ როგორ განკარგავდნენ მოგებულ 24 მილიონ ლარს; რა საჭიროება და სურვილები ჰქონდათ, რომელს მიანიჭეს პრიორიტეტი და რატომ. კლასში ნაწარმოების განხილვისა და დისკუსიისას წამოიჭრა საკითხი რომელიც ფინანსურ ორგანიზაციებსა და უსაფრთხოებას ეხებოდა,ასევე,გაიმართა დისკუსია მომხმარებელთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.. აღნიშნული საკითხების ირგვლივ მსჯელობის შემდეგ გადავწყვიტეთ სოფელ სართიჭალაში მდებარე ერთ-ერთ ადგილობრივ საბანკო ოფისში სტუმრობა,სადაც მოსწავლეებს მიეცემოდათ საშუალება უშუალოდ ბანკის წარმომადგენელს გასაუბრებოდნენ და დაესვათ თემატური შეკითხვები სესხის,დეპოზიტების, მომხმარებელთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მოსწავლეებმა წინასწარ მოამზადეს თემატური შეკითხვები. ბანკის წარმომადგენლობასთან წინასწარი შეთანხმების სააფუძველზე მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფი იმყოფებოდა ერთ-ერთ ბანკში ,სადაც მოადგინეს შეხვედრა მოლარე-ოპერატორთან. დაუსვეს წინასწარ მოფიქრებული, მათთვის საინტერესო და თემატური შეკითხვები,რაზეც ბანკის წარმომადგენელისგან მიიღეს კომპეტენტური და ამომწურავი პასუხები. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმა ჯგუფურად იმუშავეს ციფრულ პლატფორმა canva.com -ში,შექმნეს იმ ძირითად ტერმინთა განმარტებების ფლაერები,რაც ნაწარმოების განხილვისას გამოიყენეს და ისწავლეს, მოირგეს თანატოლგანმანათლებლების როლი და აღნიშნული გააცნეს თანატოლებსა და სასკოლო საზოგადებას. ამისთვის ჯერ მოახდინეს სხვადასხვა კლასებში კითხვა-პასუხის რეჟიმში ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა,ხოლო შემდეგ საინფორმაციო ფლაერების დარიგება.

	პროექტის მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმა უყურეს ფულის დაზოგვასა და ყულაბის გამოყენების მიზნობრიობისა/სარგებლიანობის \შესახებ საინტერესო ვიდეო-კლიპს. ასევე ნახეს ანიმაციური ფილმი “სიკეთე”,რომელიც ნათლად ასახავდა ფულის გამოყენებას სიკეთისთვის,ქველმოქმედებასა და კეთილი საქმეებით გამოწვეულ ადამიანთა ბედნიერებაზე. მოსწავლეები ასევე დაინტერესდნენ პრეოქტის ფარგლებში შერჩეულ ნაწარმოებში გამოყენებული ვალუტის-კრონას შესახებ.გამოვიყენეთ სკოლა-ბანკის სახელმძღვანელოდან თემა: ქვეყნისა და ვალუტის ბარათების შესახებ საინფორმაციო მასალა.გარდა ამისა,მოსწავლეებმა დამოუკიდებლად იმუშავეს,მოიძიეს ინფორმაცია აღნიშნული ვალუტის წარმოშობის ისტორიის შესახებ,შექმნეს პრეზენტაციები და გააცნეს მოძიებული მასალა კლასს. პროექტის დასკვნით ნაწილში მოსწავლეებმა იმუშავეს ინდივიდუალურად,შეავსეს მასწავლებლის მეირ წინასწარ შედგენილი შემაჯამებელი ქვიზი. ქვიზი მოიცავდა ოთხ თემატურ დახურულ კითხვასა და ორ სიტუაციურ ღია შეკითხვას,რომელიც საჭიროებდა მსჯელობას და არგუმენტირებულ დასაბუთებას იმ საბანკო თემების გარშემო,რომელიც ნაწარმოების განხილვისას ისწავლეს მოსწავლეებმა. აღნიშნული პროექტი მიმდინარეობდა ოთხი საგაკვეთილო საათი(თითოეული 40 წუთიანი) და დამატებით 2 არასაგაკვეთილო საათი. ყველა აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა ფინედუს მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის: “ასწავლე ფინანსები ლიტერატურით”.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	პროექტის “ასწავლე ფინანსები ლიტერატურით” ჩემს მიერ შეთავაზებულმა აქტივობებმა დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია მე -9ა კლასის მოსწავლეებში. ჩე-9 კლასის არც ერთი მოსწავლე არ იცნობდა და არ ჰქონდათ წაკითხული ჩემს მიერ შეთავაზებული ნაწარმოები: არნფინ ქოლერუს-”კეთილიონი”. არც ფინანსურ განათლებაზე იცოდნენ სიღრმისეულად რამე.მოსწავლეებმა აღნიშნულ პროექტიდან დაასკვნეს რომ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და მთავარი არა მხოლოდ ფინანსური შემოსავლის ყაირათიანი განაწილება, ;დაზოგვა და მიზნობრივად დაბანდებაა სანდო ფინანსურ დაწესებულებაში (მაგალითად: ბანკში), არამედ ის რომ მნიშვნელოვანია სიკეთე,კეთილ საქმეებში ფინანსების გამოყენება ,ადამიანური ურთიერთობები და სხვათა დახმარება .გაიაზრეს რომ მცირეოდენი თანხის დაზოგვით/შენახვით დროთა განმავლობაში შეიძლება დიდი დანაზოგის გაკეთება და საკუთარი სურვილების რეალიზება. იმსჯელეს და გაიაზრეს რომ მნიშვნელოვანია ქველმოქმედება და სიკეთის

	კეთება. გაიაზრეს რომ “ძუნწი კაცივით” ფულის მიწაში დამალვას სჯობს ფული ბანკში დააბანდო სასურველ დეპოზიტზე და შესაბამისად ნახო ფინანსური სარგებელი. გაიზრეს რომ საბანკო სექტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქველმოქმედო საქმიანობების ხელშეწყობაში სხვადასხვა სერვისების შეთავაზებით.როგორიცაა: ბანკების დახმარება საქველმოქმედო ორგანიზაციებს სახსრების ეფექტურად და უსაფრთხოდ გადაცემაში მიმღებებისთვის როგორც შიდა ისე ეროვნულ დონეზე, ანგარიშების მართვა, საინვესტიციო მომსახურეობა და სხვა.მათ აღნიშნული საკითხი დაუკავშირეს ისეთი ორგანიზაციის მუშაობას,როგორიცაა წითელი ჯვარი,რომელიც იღებს შემოწირულობებს ფიზიკური პირებისაგან საბანკო გადარიცხვებით და მონაწილეობს ბანკების მიერ ორგანიზებულ ფინანსების კამპანიებში. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით ხელი შეეწყო მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ფინანსური განათლების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ როგორცაა: რა არის ფული,დაზოგვა, პირადი ფინანსების მართვა,ქველმოქმედება, ფინანსური ორგანიზაციები და პროდუქტები,მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები.ქვეყნები და ვალუტები. მოსწავლეებმა წარმატებით შეძლეს ნაწარმოები დაეკავშირებინათ ფინანსურ საკითხებთან და ემსჯელათ ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების,სიუჟეტებისა და თავგადასავლების შესახებ.მოერგოთ როლები საკუთარი დამოკიდებულოებების, შეხეულებებისა და სურვილების გამოსახატავად. პროექტში გამოყენებული მრავალფეროვნი აქტივობებით ხელი შეეწყო მოსწავლეთა კრიტიკული და ანალიტიკური უნარების, კრეატიულობასა და პრეზენტირების უნარების განვითარებას. ფინანსური საკითხებით მოსწავლეთა დაინტერესებას და ლიტერატურის საინტერესოდ სწავლებას.მე და ჩემს მე-9ა კლასის მოსწავლეებს ძალიან გვიხარია რომ მოგვეცა ისეთ საინტერესო და კრეატიულ პროექტში მონაწილეობის მიღების საშუალება, როგორიცაა: “ასწავლე ფინანსები ლიტერატურით”. გაქვს გამარჯვების დიდი იმედი.